

## ფილიპე ბეთლემი

სინის მთის ორ ქართულ ხელნაწერში, იადგარებში - SIN-59, SIN-64 შემონახულია X საუკუნის ქართული ჰიმნოგრაფის ფილიპე ბეთლემის ღვთისმშობლის მიერ ქრისტეს შობისადმი მიძღვნილი საგალობელი, რომელიც პირველად გამოაქვეყნა ნ. მარმა რუსული თარგმანითურთ “ვეფხისტყაოსნის” პროლოგ-ეპილოგის შესახებ დაწერილ ნარკვევში (9, LVI). მეორე გამოცემა განახორციელა პ. ინგოროყვამ 1913 წელს “ძველ ქართულ სასულიერო პოეზიაში” (გვ. 364). შემდგომი გამოცემები მათი პუბლიკაციებს ეყრდნობა.

მიუხედავად იმისა, რომ საგალობელი სხვადასხვა კუთხით განიხილეს ნ. მარმა, პ. ინგოროყვამ, კ. კეკელიძემ, პ. ბერაძემ, გ. წერეთელმა, ს. ცაიშვილმა, ა. ლოლაშვილმა, ა. ურუშაძემ, ა. სილაგაძემ, იგი, როგორც დამოუკიდებელი ჰიმნოგრაფიული თხზულება, საგანგებო კვლევის საგანი არ ყოფილა. ნ. მარის შეხედულებით, საგალობელი საინტერესოა ფორმით, რადგან იგი შესრულებულია თექვსმეტმარცვლიანი შაირით, აქვს ღარიბი ერთმარცვლიანი რითმა და აკროსტიქი. ეს უკანასკნელი ავტორის სახელს უნდა გვამცნობდეს. მანვე დასვა საკითხი და მომავალში გახარკვევად დასახა, მიეკუთვნება თუ არა ეს ნაწარმოები შოთა რუსთველის შემდგომ ეპოქას (SIC - ნ.ს.), თუ მისი სახით გვაქვს პირველი ცდა თექვსმეტმარცვლიანი შაირის გამოყენებისა. იქვე აღნიშნა ისიც, რომ თხზულებაში ნახეყარხმოვნის *ა-ს* გამოყენება და ხალექო საბოძში მისი ჩაუთვლელიობა მას არქაულ ელფერს ანიჭებს (10, 102).

კ. კეკელიძემ აღნიშნა, რომ იგი არის “ცამეტგრიქისიანი იამბიკო, რომელიც დაწერილია თექვსმეტმარცვლოვანი სილაბურ-გონური საბოძით” და განსაკუთრებული მნიშვნელობისაა პოეტური ფორმით, რადგან “ჰიმნოგრაფიაში გზას იკაფავს საერთო პოეზიის საბოძები” (8, 178). მან ყურადღება მიაქცია 1945 წელს სოფელ გერგეტში ჩაწერილ ლეგენდას და იგი სამართლიანად მიიჩნია ფილიპეს საგალობლის აკროსტიქის გავლენით შექმნილად.

პ. ინგოროყვამ საგალობელი სამ ნაწილად გაყო: 1. ქალწულისათვის; 2. ბეთლემისათვის და 3. ძისათვის (7, 578-579). ამავე თვალსაზრისით იყო ა. ლოლაშვილი საგალობლის არქიტექტონიკისათვის დაკავშირებით (23, 632).

პ. ბერაძე (I, 124-125), გ. წერეთელი (II, 100), ს. ცაიშვილი (20, 25), ა. ურუშაძე (16, 62), აპ. სილაგაძე (13, 105-117) ფილიპე ბეთლემის საგალობელს შეეხნენ საბოძის თვალსაზრისით და იგი მართებულად მიიჩნიეს მაღალი შაირით შექმნილად.

საგალობლის აკროსტიქში მითითებული ცნობის გარდა, ავტორის შესახებ არაფერი მოგვეპოვება. იგი არ მოიხსენიება სინური და აერესალიმური ხელნაწერების ანლერძ-მისაწერებში. აკროსტიქი “ფილიპე ბეთლემი” ორი ვარაუდის დამკვიდრების შესაძლებლობას იძლევა: 1. საგალობლის ავტორს უნდა ემთხვეაწინა პალესტინაში, ბეთლემში, სადაც იშვა კაცობრიობის მხსნელი, იქნა ქრისტე; 2. აგრეთვე, შესაძლოა, აკროსტიქის “ბეთლემი” მიაჩნებდეს ღვთისმშობლის მიერ ქრისტეს შობის მსგერაას და იგი მიძღვნის აღმნიშვნელი იყოს. ფილიპე საგალობელს უძღვნის ბეთლემს, რომელიც ღვთისმშობლის სიმბოლურ სახელად მოიაზრება საღვთისმეტყველო ლიტერატურაში.

ფილიპეს საგალობლის მსოფლმხედველობრივი, აზრობრივი და სახისმეტყველებითი წყარო უმდიდრესი თეოლოგიური ლიტერატურაა. ჰიმნოგრაფია სტილური თვალსაზრისით უაღრესად დახვეწილ მისა სამეტყველო ენა შემოიფარგლულ - შემოსაზღვრულია, რითაც იგი ხაზოვრულ-პეტახს უერწერას, ორივეგან სტატიკური ხაგებია გაბატონებული. ჰიმნოგრაფიის სტატიკურობა ძირითადად იმით ვლანდება, რომ მან ბიბლიურ წიგნებში შემუშავებული სახუხაგები მზამზარეული ფორმით გამოიყენა. იგი სიმბოლური აზროვნების საუკეთესო გამოხატულებაა. სამეცნიერო ლიტერატურაში აღიარებულია, რომ შეახაუკუნებში საგნის ან მოვლენის სიმბოლურობას განაპირობებს მათი მიმართება ღმერთთან, ანგინომიზმის მიმართება აბსოლუტთან. თავის მხრივ, ანგინომიზმი საგანთა თუ მოვლენათა ურთიერთგამომრიცხავ ბუნებათა იერარქიული შეერთებაა. შეახაუკუნების ხელოვნებაში სიმბოლოში თანაბრადაა გააზრებული ემპირიული და ირაციონალური, არსებული და არარსებული, ღმერთის სისრულე, სრულყოფილება განაპირობებს საგანთა და მოვლენათა შეუცნობლობას ადამიანის მიერ. შეუცნობისაკენ სწრაფვა კი თავად ადამიანის შექმნისას იყო პირობადებული ღმერთის მიერ, როლესაც მას თავისუფალი არჩევანის უფლება მანიჭა.

ფილიპე თავის საგალობელს ღვთისმშობლის ქებით იწყებს და მისაღმი ვედრებით ამთავრებს. მის ზოგად განწყობას აზრსა და განცდის თანდათანობითი აღმავლობა წარმართავს. ავტორის ძირითადი სათქმელის თემატური, აზრობრივი და ემოციური განვითარება პირველივე სტრიქონით იწყება და ბოლო გაეპით მთავრდება. მიუღი საგალობლის ორიენტირი ღვთისმშობელია, რომელსაც შეახსამს ჰიმნოგრაფი და ყოველ გაეპს მისაღმი მიმართვით ამთავრებს, ხოლო, თავის მხრივ, მიმართვა ღვთისმშობელს წარმოახვის სიმბოლოებით, იმგვარი ეპითეგებით, რომლითაც, ჩვეულებრივ, ხასიათდება იგი საღვთისმეტყველო ლიტერატურაში ზოგადად და ჰიმნოგრაფიაში კერძოდ.

ფილიპეს საგალობელში ქრისტიანულ სიმბოლოთა, სახეთა და ფერთა განაწილება მკაცრად მოწესრიგებულია და მიმართულია ერთის, უმაღლესის გამოხატვისაკენ, კერძოდ ღვთისმშობლის მიერ ქრისტიანობის მისტერიის სიტყვით გამოხატვისაკენ. საგალობელი დიდადაა დაეალებული ბიბლიური, განსაკუთრებით უსაღმუნური პოეტური მეტყველებისაგან და ღრმა სიმბოლური აზროვნებით გამოირჩევა. ჰიმნოგრაფი ქალწულ ღვთისმშობელს პირველ და მეორე გაეპებში ასე მიმართავს: “ფესუთა მათგან თქროვანთა შემკული ხარ მენ, ქალწულო, იაკისთიე მოწეული სამოსლად გაქეს, ღმრთისმშობელი”, რითაც ღვთისმშობლის გამოჩინეულობაა მანიშნებული და რომელიც 44-ე უსაღმუნის შემდეგ სიტყვებს ეხმანება: “ყოველი დიდებაა ასულსა მეუფისა მსაგან, ფესუელთა თქროვანთა შემკულ არს და შემოსილ პირად-პირადად” (უხ. 44,14). მარიაშ ღვთისმშობლისაღმი მიღვნილ საგალობლებში ხმარია უსაღმუნისეული სიტყვების პერიურაში. “უძველეს იადგარში” ღვთისმშობლის შესხმაში ვკითხვლობთ: “ფესუელთა თქროვანთა შემკულსა, პირად-პირადად შეუნიერსა ვადიდებელი” (17,439). საგალობლის პირველი სიტყვა “ფესუ”, უსაღმუნში “ფესუელი”, სიმბოლურ ფუნქციას აგარებს. საბამ ასე განმარტა ფესუელი, ფესვი: “ფესუელი - პერიათა მწიგნობარნი, ფესუთა გამოიბემდენ სამოსელთა ქეეშე მოსაკსენებლად მცნებათა უფლისათა; ფესუ-

ძირის ხინძლი, განა სამოსლის ქვედა კერძი“. სხელებული განმარტების მახელებით, “უესუელი” უელის მცნებათა დაცვის სამბოლოა. ურესკებსა და ხატუნზე არც განსაკუთრებული სიუფიხით გამოისახება, ხადაც ღვთისმშობლის სამოსლის “უესუ”, “უესუელი” მეწამული უერის სამოსელზე შემოვლებული აქწნათსაყერა. თქროვანი უოსია. ეს უერი მას უეოლველოდის ნაშნად გასლევს. თქროსუერი სელაერების, ზეცეროდის სამბოლოა, სისხლისუერი, მეწამული - მაწაერებისა. ღვთისმშობლის სამოსლის მეწამულობა მისი მაწაერების მამანაშნებელია, მასზე შემოვლებული თქროსუერი უოსი კი ზეცერა დელთულობისა. 44-ე უხალმუნის ციგარებელი სიგევები წისახწარმეგველურია, რადგან “ასელისა მეუესისა” ღვთისმშობლის განსაკუთრებულობას წარმოაჩენს. წმიდა მამები მოხმობილ მუხლს (აგრეთვე 44,9-საე) განმარტავენ: “სამოსელ დელუელისა ეკლესიისა არიან ხარწმუნობა, ხასობა და სიუეარული, ხილო რაასათოც თქროქსიოელი და, არა სრულიად თქროა, ესე მრავალუერობისათოც ხათსიებათაასა, რამეთუ რომელნიმე ქალწულებასა იმარხავს, და სხვა ქერობასა მისა ილეწის, და სხვაა სხვასა რასამე თქმს და სხვაა - სხვასა” (19, 39); “რადენი ესევითარი მესამოსელი კორციითა განამუენებს უმეტეს, ესე იგი არს, მადლნი ხაღმროთნი და ხათსიებანი სელაერნი სელსა და გონებასა, ხილო ეწოლებს მასვე დელთუალსა და შემკობილსა სძალსა და ასელ სძალ შეყოესათოც და შეკროებთა სელაერისადა ასელ ნათლისლებთა. პირად-პირად სელსა იგეცს ხათსიებთა შემოხილსა” (19,41).

ამგვარავე სახისმეგველებით წარმოაჩენს ღვთისმშობელს ერთ-ერთი ღმროთსმშობლისანი: “სამოსლითა პირუერთითა და უესუელითა თქროქსიოელითა პირად-პირად შემკობილსა სძალსა წმიდასა ყოველი ესა ქებით უგალობს” (12,145). აქ საკმაოდ რთული სახეებით მოაზრებელია ღვთისმშობლის ხორციელი და სელაერი სილიდე და ერთიანობა, ჰარმონიულობა. აქაც ნათლად შეხინძება უხალმუნის პოეტური მეგველების კვალი.

საგალობლის სრულყოფილი გააზრებისათვის გასათვალისწინებელია თქროს სამბოლური მნიშვნელობაც ბიბლიური და მასზე დამყარებული ხაღვთისმეგველო ეგზეგეტიკური ლიტერატურის მახელებით. მისი სამბოლური აღქმა მკაცრი განსაყლელისა და მოწამეობრივი განწმენდის იდეითაა ნასაზრდოები. ამიტომ გამოისახებიან წმინდანები ქრისტიანულ უერწერაში თქროს შარავანდელო მისილნი. თქრო და თქროსუერი ქრისტიანობის გავრცელების პირველ საუკუნეებში მოწამეობის სამბოლო გახდა. როგორც თქრო გამოაწროობა ეეცხლში და განიწმინდება, ისე განაწმინდება ადამიანის რწმენით ანოებელი გული განსაყლელისას. მისი ბრწყისეალების გოლუარდა წმინდანთა ბრწყისეალება. უალიბეს საგალობელში ღვთისმშობლის თქროვანი სამოსლით შემკობა მისი გამორჩეულობის ნაშანიცაა და ზეცერა დელთულობის, სიწმინდის, უბწოების, უბრწყნელობის სამბოლოც. ამიტომ იწოდა ღვთისმშობელი ხაღვთისმეგველო წიგნებში “თქროს გაკეკალ”, “თქროს ხასაკემეველელ”.

საგალობლის მეორე ტაეპი ღვთისმშობლის მადლმოსილებასა და ნათლით შემკობას გვაუწევებს: “იაკინთე მოწველი სამოსლად გაქეს, ღმროთსმშობელი” (მღრ. უს. 44,10). განმარტებას მოითხოვს როგორც იაკინთე და მოწველი, ისე სამოსელი. ანღრია კრიგელი საკითხაეში “შიობისათოც ღმროთსმშობლისა” 44-ე უხალმუნის სიგევებს - “დადგა დელთუალი მარჯუენით შესისა, სამოსლითა

თქროქსოვილია შემკულ და შემოსილ პირად-პირადად“ - ასე განმარტავს: “ვინაიდან, ვითარ ეკვნიებ, წინამხედველ იქნა იგი მიერვე სასუქველიაოთგანა შეწიერებასა და პაეროვნებასა სულსა მსიხასა. და მოახწავებდა მის შორის დაუსჯებულთა ხაღმრთოთსა სულსა მადლთა. რამეთუ ვითარ-ესე შე გულისკმა-ვპყოფ, ესე არიან სამოსელნი და ფესუნი თქროსანი და კუაღად ეკვნიებ, ვითარმედ სახუეველად სამეუფოდ გულისკმა-იყოფებოღის მადლი უვნებლობისაჲ, რომლისა მინლობითა ვითარცა შეწიერი გარემესა მას და შინაგანსა ქმსულკეთილობასა ქალწულისასა“ (22,145). წმიდა მამა მიუთითებს, თუ როგორ განემზადებდა “სახუეველთა სამეუფოთა” და ვით წინასწარმეკველი და ამრს სხვაგან უფრო აკონკრეტებს: “ესე არს ღმრთივ მოქსოვილი შესამოსელი და ვითისი, რომელმან გაძარი კორცითა თქითაჲ სახედ პორუარისა შეკმისა თქლსაგან და ვითისსა განკაცებულსა მას“ (22, 145). აქ პირდაპირაა ნათქვამი, რომ “გაძარი ხორცითაჲს” სამბოლური სახე პორუარია, რაც ადამიანის ხორციელებას მანიშნებს.

სამოსლს ღრმა სამბოლიკა ბიბლიის პირველსავე წიგნშია მნიშვნეული. როლესაც ღმერთმა ადამს და ევას შექმნა, ნათლთი შემოსა და საცხოვრებლად მათ სამთიხე მიუჩინა, მანიჭა თავისუფალი სება, თავისუფალი არსეკანი და უბრძანა, რომ სამთიხის ყველა ხის საყოფი შეეძლოთ ეკვმათ, გარდა საყოფისა ცნობადს ხისა. აკრძალული ხის გემოსხილვამ მაახველრა ისინი, აწ უკვე ნათლს სამოსლსაგან განძარცულნი, რომ შამველნი იყვნენ: “და განეხუეს თუღანი თრთანივე და აგრძიეს, რამეთუ შამველ იყვნეს და შეკერეს ფურეკელი ლელვა და ქმსეს თავითა თქითა გარემოსარგემელნი“ (შეს. 3,7). განრსხებულმა ღმერთმა ისინი გამთადეკა თავდაპირველი სამყოფელიდან: “და უქმნა უკალმან ღმერთმან ადამს და ევასა მისსა სამოსელნი გყავისანი და შეკმისნა მათ“ (შეს. 3,21). გყავის სამოსელი ცოღვის სამბოლია. განსაცემელი არს სხუელს დამაკავშირებელი ამქვეყნიურ სისამღვილეითან, რეალობასთან. ამიგომ სამოსელი, ბიბლიური გამთიქმითი - “სამოსელნი გყავისანი“, უღრესად მნიშვნელთვან სამბოლურ გააზრებას მოითხოვს, რადგან იგი არს განმსაზღვრელი, ერთი მხრთ, გარესამყაროთან ადამიანის სულიერი მღვთმარეობის მამართობისა, მეორე მხრთ, თვით გარესამყაროს სიღრმისეული განცდისა. ზოგადად სამოსლს, კერძოდ გყავის სამოსლს სამბოლური მნიშვნელთა განმარტებულთა ანღრთა კრიტელის “დიდ კანონში“, რომელიც, ცხადია, ბიბლიურ მონათხრობს ეუქმნება: “განვბძარე მე სამოსელი პირველი, რომელი პირველთიგან მიქსოვა ღმერთმან, და ვძე მე შამველი... მმთიხეს მე ხენემსი კუართი, რომელი მიქსოვა გუელმან ეღემს განზრახვითა და კლებულ ვარ შეწვან... შემსკერსა გყავისა სამოსელი (κατεργασεν τοις δερματινους χιτωνας) ცოღვამან სემმან და ღვთიფქსოვილი სამოსელი განმძარცვა“ (γυμνασιασιν με τις πριν κατασκευασεν οσολις) (21, 290-291). საგალობლს ავტორი აღიარებს პირველყოღვის შეღევად ზესთასოფელთან კავშირის დაკარგვას, თავს პირველი ადამის შთამომავლად თვლს. ამიგომაჲ, აქცენტირებული და ურთმანეთის დაპირისპირებელი თბოზიციური წყვილი “სამოსელი პირველი“ (“η σολιη πρωτη“) და “სამოსელი გყავისანი“ (δερματινους χιτων). გყავის სამოსლით ადამისა და ევას შემოსვამ გულისთქმათაგან თავს მოზღვეღვის გზა უწვენა კაცობრობას. გავსხენით ეფესელთა მამართ პავლეს ეპისტოლეუ “განიშორეთ თქვენგან პირველისა მსეებრ სღვისა თქვენსა ძუელი იგი კაცი. განხრწნილი გულის თქემისა მსეებრ საყოურისა, და განახლღველით თქვენ

სულთა მათ გონებისა თქვენსაჲთა და შეიმოსეთ ახალი კაცი, ღმრთისა მიერ დაბადებული სამართლითა და სიწმიდითა ჭეშმარიტებისაჲთა“ (უჩქ. 4. 22-24). ამავე თემას ეხება კოლასელთა ეპისტოლეც: “ნუ უტყუით ვნაობა-ვნაობა, განიდარცუეთ ძუელი იგი კაცი საქმით მსითურთ და შეიმოსეთ ახალი იგი, განახლებული მეცნიერებად მსგავსად ხატისა მის დაბადებულსა მისისა“ (კოლას. 3,9-10).

ქრისტეს განკაცებამ ადამიანს შესაძლებლობა მისცა თეოზისისა, რადგან რეალური გახადა სულიერი საიღუმლო: ძველი კაცისაგან, ე.ი. ადამის ცოდვითაგან, განიდარცვა და ახალი კაცი შეიმოსვა, ე.ი. სულიერი განახლება, როგორც ეს გრიგოლ ნოსელმა განმარტა: “განიდარცუეთ კაცი იგი ძუელი და შეიმოსეთ კაცი იგი ახალი, განახლებული მსგავსებითა დაბადებულისა თქვისაჲთა“ (18, 230).

ამქვეყნიური სამოსლის სხვადასხვა სახეობის გამოყენება ღვთისმშობლის სახის სრულყოფილების, მისი ხატის წარმოჩენაში ეხმარება მის შემსხმელს. მისი სამოსელი სულიერებითაა დატვირთული. როდესაც ფილიპე ბეთლემს ამბობს, რომ ღვთისმშობლის სამოსელი შემკულია თქროვანი ფონებით, იაკინთითა და ძოწეულით, ფაქტობრივად მის სულიერებას ხსნის და გაღამის მკითხველისა თუ მსმენელის წინაშე. გამოირჩეული სამოსელი ღვთისმშობელს განსაკუთრებული ფუნქციით წარმოაჩენს. ესაია წინასწარმეტყველი გამოხატავს სიხარულს, რადგან ღმერთმა იგი განასხვავა ყველასგან და “მაცხოვარების სამოსლით” შემოსა: “იხარებს სული ჩემი უფლისა მამართ, რამეთუ შემოსა მე სამოსელი მაცხოვარებისა და კუართი მხიარულებისაჲ, ვითარცა სიძესა, გარემომღვა მიგრას და ვითარცა სძალი, შემამკო მე სამკაულითა“ (ეს. 61,10). ღვთისმშობელს თქროვანი ფონით შემკობა ბუნებრივად კავშირში წარმოაჩენს, იაკინთითა და ძოწეულით შემოსვა - ამქვეყნიურობასთან.

გრიგოლ ნოსელმა განმარტა, რომ ღმერთმა “შემოიყვანა კაცი ამას სოფელსა ცალიერი საჭურველითაგან ბუნებითითა, უმოსელად, და უფროს-და გლახაკად და უქსილად ყოველითაგან საჭმართა ცხორებისა მისისაჲთა... და არცა დაბურვილ არს გუამი სამოსლითა თმისაჲთა, რამეთუ ჯერ-იყო, რაათა იყოს მთავარი იგი მთბლელელ და აღჭურვილ ბუნებასა მისა თქსსა, რაათა არა უკმდეს განრისებისათვის და დაბურვისათვის ჯორცთა თქსთაჲსა გარემუთა რაათმე“ (18, 152). ხოლო ადამიანის აგებულების ახსნისას ღვთისმეტყველმა წმიდა მამამ განაცხადა: “და მისელობისათვის ჯორცთა ჩუენთაჲსა გვკმდა და მოგებაჲ ცხოვართაჲ, რაათა სრულ იქმნეს დაკლებაჲ ბუნებისა ჩუენისაჲ სამოსლისაგან“... (18,153).

“სამოსელი საქორწინე“, მათეს სახარების მიხედვით, არის ზესთასოფელში წახაგანი, ნათლის სამოსელი, “სამოსელი პირველი“, რომელიც ადამიანის პირველსახესთან, ცოდვალაუცემელ პირველ ადამიანთან დაბრუნებას ნიშნავს, მის გარემე ადამიანი სასუფეველს ვერ დაიმკვიდრებს: “ხოლო მერაჲ-ვიდა მეუფე იგი ხილვად მეინაკეთა მათ, იხილა მუნ კაცი, რომელსა არა ემოსა სამოსელი საქორწინე, და პრქვა მას: მოეყასო, ვითარ შემოსუელ აქა, რამეთუ არა ემოსიეს სამოსელი საქორწინე? ხოლო იგი ღუმნა, მაშინ პრქვა მეუფემან მან მსახურთა თქსთა: შეუკრენით მაგას კელნი და ფერკნი და განავლეთ ეგუ ბნელსა მას გარესკნელსა“ (მთ.22,11-13). სძალი, ანუ ღვთის წინაშე მღვთმი ადამიანი, მადიებელი სულის უკვდავებასა, სასუფეველისა, ზესთასოფლისა, ნათლით

უნდა იყოს მოხილი. “ქება ქებათაში” დასმულია კითხვა: “სძალი იტყვს: განვიძარცვე სამოსელი ჩემი, ვითარმე შევიძოსო იგი? (ქებ. 53); ეურემ ასურას სიტყვებს - “მე შევიძოსე სახე და სამოსელი მართალთა და საქმეჩი მათნა განვიძარცვენ” - განმარტებისას თ. გრძელიძემ შენიშნა, რომ “განძარცვული კაცი რეალურად და სრაციონალურად შიშველი წარუღება ბეცათა სასუფეველს” (4303). უნდა აღინიშნოს, რომ, მკვლევარის აზრით, სიმბოლურ მხოლოდ ყიბიკურ პლანში მოაზრებას ეყრდნობა, მაგრამ სინამდვილეში, ჩვენი აზრით, ყოველი ადამიანი, ცოდვათაგან დაცლილი და განწმენდილი, ზესთასოუელში ნათლთი მოხილი წარსღება ღვთის წინაშე.

არეოპატივტიკული მოძღვრების მახელვით, პირველი სამოსლით შემოსვა არაა ყველას ხველრი. იგი მხოლოდ რჩეულთა ხველრია. “რომელსა ემოსა წმიდაა იგი სამოსელი?” – სეამს კითხვას ღვთისმეტყველი. იგი განსაზღვრავს, რომ “სამოსლითა პირველითა” შემოსვა ადამიანის მიერ ამქვეყნად გატარებული ღრთის “უსრულესად ცვალებამეა” დამოკილებული: “ხოლო პირველისა სამოსლისა აღძრცვაა და სხესა შემოსვაა სამეველისა მის პატიოსნისა ცხოვრებისაგან უსრულესად ცვალებასა აჩუენებს, ვითარცა-იგი წმიდასა მას ზელა ღმრთის მობილობასა ცვალებასა სამოსლისაა ცხად ჰყოულა განწმედლისა ცხოვრებისაგან ხელვითისა და განათლებითისა გუარისა მიმართ აღსღვასა” (6,206). აქვეა განსაზღვრული იერარქია სამოსლის მახელვით: “რამეთუ სპეგაკობაა იგი და ცეცხლის უერობაა სამოსელითაა მომასწავებელად შემარაცხიან მე ღმრთის სახეობისა ცეცხლის ხატობითა. ხოლო მეცის სავანეობისა - ნათლის სახეობითა, ხადა-იგი არს ნათელი და ყოელად სარწაური გამობრწყისებაა ანუ მცნობელობითი განბრწყისებაა, ხოლო სამღვდელთობაა სამოსელითაა - ხაღმრთოთა მათ და ხაიდუმლოთა ხედვითა მიმართ მომზადებულად და ყოელისავე ცხოვრებისა მისდად განკეთისილებად” (6,146).

ღვთისმშობლის სამოსლად იაკინთისა და ძოწეულის გამოყენებას ღვთისმეტყველებამი ძალზე მნიშვნელოვანი და ხანგერესო ახსნა აქვს. ებუკიელის წიგნში ნათქვამია: “და შევიძოსე შენ ჭრელებნი და შეგასხნ შენ უაკინთი და მოვარცე შენ ბისინი და გარემოვასხ შენ გრისაპგინი. და შეგამკვე შენ სამკაულითა და შეგასხენ სავლტენი გარე კელთა შენთა და მანიაკი გარემოთს ქელისა შენისა” (ებუკ. 16,10-11). ითანეს “გამოცხალებამი” ძოწეული წმიდათა სიმართლესთანაა დაკავშირებული: “და მიუცა მას, რათთა შევიძოსოს ძოწეული წმიდაა და ბრწყისვალე, რამეთუ ძოწეული სიმართლენი წმიდათანი არიან” (გამოცხ. 19,8).

ეპიფანე კვიპრელმა სპეციალური თეოლოგიური მრომა მიუძღვნა ძვირუფას ქვეებს და თითოეულის სიმბოლური მნიშვნელობა განსაზღვრა. თორმეტი ძვირუფასი და სახეურადძვირუფასი ქვის სიმბოლურობა ახსნილია იაკობის თორმეტი ძისაგან ღვთის რჩეული ერის, ებრაელთა თორმეტი გომის დაყოფისა და თითოეული მის სამკვიდროს დაღვჩით. ფილიპეს სავალთბელში თრა ებრაელი გომის საფუძველდამღები ბიბლიური პერსონაგის სიმბოლური ძვირუფასი ქვით შემკობილად და შემოსილადღა ღვთისმშობელი წარმოსახული.

თუ რატომღა სავალთბელში ღვთისმშობელი იაკინთითა და ძოწეულით შემოსილი და შემკული, საჭიროა თვით ამ თვლების სიმბოლური მნიშვნელობის დაბუგება, რისთვისაც ბიბლიურ მონაცემთა საფუძველზე ეპიფანე კვიპრელის მიერ შეღვჩენილი “თუაღთაა” არის საუკეთესო წყარო. აქვე უნდა აღინიშნოს,

რომ იაკინთისა და ძოწეულის სიმბოლოებში გეოგრაფიულ მხარეთა სიმბოლური გააზრებაა საგულისხმებელი. ეპიფანეს თხზულება ამას საფუძველსაც იძლევა.

იაკინთის თვალს, რომელიც არის “მბრწყინვალე ცეცხლის მსგავსი ფარის მსგავსი სამეწამელითა” (14,131), მოიპოვება აფრიკაში, ლიბიაში, “მახლობლად მზის აღმოსავალსა, ადგილია მათ ეთიოპიადასათა, რომელი მთავალს სამხრად მიმართ” (14, 143). მისი ბრწყინვალეობა შორიდანვე იზიდავს ადამიანს, იგი ღვთისით და ღამით ხანთელისით ანათებს, ნაკვერცხლისით გამოსცემს ალსიფერ ნათელს, რაც აადუკლებს მის პოვნას, მას გარედან აგარებენ და არა “სამოსელსა შიგან”. იაკინთის თვლის ნაღესს თუ ვინმე დაღვეს, მას სულს გაუღვიძებს “სამართალითა სიგყუითა მიმართ” (14,132). ეპიფანე კვიპრელი იაკინთის თვალს მეოთხე ადგილს განუკეთებს, თუმცა იქვე იმასაც აღნიშნავს, რომ იგი “მეორესა განწესებულსა პირველ არს, რომელსა ზედა წერილ არს ესრე სახელი იუდაისი - ნანღვლეუ განწესებასა სახისასა მას განცხადებულად გვხვენიებს მეოთხებასა და მთავრობასა. და ყოვლითა მეცხიერებითა განდგმით განაგებს თათკელელსა მას და სიგყურსა ფიცარსა. და გამოლესვით განადგა იგი შემდგომად განწესებისა მის, რამეთუ მთავარ იყო იუდა ერსა მას ზედა. რაჟამს თითხად ნაწილად ერსა მას განპყოულეს, იყო იუდა ერსითავე და დაბნაკებულ იყო მზის აღმოსავალით კერძო, ხოლო შემდგომებით მეოთხე იყო ძმათა თვისთა და მთავარ და წარმართებულ მეუობითა და წინამძღურობითა თვისთა”... (14,141). ეპიფანეს მხედვით, ყოველივეს საფუძველი, საძირკველი, დასაბამი და დამტკიცება ქრისტეა, ხოლო სარწმუნოება მისი - შეურყეველი და გარდაუქცეველი, იაკინთის თვლის სისხლისფერობა იმითაა ახსნილი, რომ მხოლოდშობილი ძე ღმერთის სისხლით იქნა გამოსცილული, დახსნილი ყოველი ჭკმმარტად მორწმუნე ადამიანის სული, ხოლო ცეცხლისა და ნაკვერცხლის ფერობა იაკინთისა იმას მოასწავებს, რომ “უუაღმან ჩუენმან იესუ ქრისტემან განსაჯნეს ცხოველნი და მკედარსა დიდებულებით მოსლვასა მას თვისსა” (14,141).

იაკინთის თვალს მოასწავებს “ქსნასა და რისხვასა, ქსნასა და სიწმიდესა, ღირსთა რისხვასა და განჯვასა უღირსთა და შეურაცხისმყოფელთა... რომელია ზედა დაიწერა სახელი იუდაისი, რომლისა ნათესავისაგან უუაღლი გამოგებრწყისდა და დაიხსნეს საფუძველნი სიონისანი, დასაბამ და საძირკველ და “თავკიდეთა - ღილი იგი, რომელ შეურაცხევს მშენებელთა” - 1 კორ. 3,11 (14,142). უუაღლი ცხოვრებისა, რომელიც ყოველივეს დასაბამი და დასასრულია, რომელიც იქმნა თავი კიდეთა, რომელიც არის ძველსა და ახლის სიმტკიცე, არის თვალს პატიოსანი. როგორც ეპიფანე კვიპრელმა მიუთითა, იგი მოიპოვება მდინარე “ფისონს, რომელ გამოითარგმანებს “პირ ცეცხლის” (14, 142-143), რადგან ჩუენმა უუაღმა იესუ ქრისტემ სოფელს, ამქვეყნიერობას მოპყისა “ცეცხლი სიგუოვებისაა”, ადგიანებულნი ცოდვანი ყოველი ადამიანისა “შეწუნა” და “ყოველნი წმიდანი თვისნი განწმიდნა” (14, 142-143). ამიტომ, - ამბობს წმიდა მამა ეპიფანე, - ნუ გიკვართ, რომ იაკინთის თვალს ღამით ანათებს, რადგან, როგორც მათე მახარებელი იტყვის: “ბნელსა მინა ნათელი გამობრწყინდა” (მთ. 4, 61). ამით ისაა ნათქვამი, ადამიანთა გულებს, რომლებიც დაბნელებული იყო, ღმრთისმსახურების ნათელი გამოებრწყინა, უკვიური საქმენი მათგან განაქარვა და “დაფარულთა ბრახვითა ვითარცა სახე იუდაისა იაკინთისაა გამოეცხადებთან წმიდათა თვისთა” (14, 144). იაკინთის თვლის სიმბოლურობა იმითაც გამოვლენდა, რომ ღმერთმა თავის ეკლესიას

დაადგა ცვირჯისი, განაწესა ღელთუალი და თავის მარჯენი მუქისა აღვილი. ყოველ მორწმუნეს გამოესახა შებლის შუა ნაწილში "ნიმი იგი პატიოსანი" და შეამკო, ხოლო ამ სასწაულთი, ქრისტეს ჯვრითა და მისი სიკვდილთი კაცობრიობას მაჰმადლა მარადიული ცხოვრება, ცოლვითა მიტევეჭი, ზღერ იაკისთის თელს მეშვეობითაა გამოხაგული.

ამრიგად, იაკისთის თვალი სამბოლურად არის თელს ნათესავის, მოამომავლის აღმნიშნელი, ასეთადაა ცნობილი იესო ქრისტე იგი არის ხსნისა და რისხვის გამომხაგველი, ხსნისა ღირსთათვის და რისხვისა, განჯვისა უღირსთა და შეკრაცხმყოფელთათვის. იაკისთის თვალი მანათობელია ღმრისა, რომელშიც ქრისტეს შობამღე ამყოფებოდა კაცობრიობა, მან ნათლით შემოსა ყოველი, ვისც ქრისტე ჭემმარტად ირწმუნა. ამიგომ მიიჩნევა იაკისთის თვალი ღვთისმშობლის შესამკობად. რაც შეეხება იაკისთის თელს მხარეთა სამბოლურობის გამოსახაგავად გამოყენებას, აქ გასათვალისწინებელია ქრისტეანული სახსმეგველები, რომლის მხედვით აღმოსავლეთი სინათლის წყაროდაა მანსიელი, ხოლო სამხრეთი ამ აღვილად, სადაც მარადიული სინათლეა (მღრ. მთ. 1, 1-2,9).

ეპიფანიე კვიპრელი ძიწველსაც ბრწყინვალეების გამომცემელ თქროსფერ ქვად მიიჩნევს, რომელიც "ცეცხლისაგან არა განირყენის" (14, 158). მისი სამკვიდრებელი წმიდა აღვილია, გაღილეს ნაზარეთის მახლობლად, სადაც "შობასა და მღვთმღებასა მარიამისსა მიეხარა გაბრიელითა და მოეცა თქროს იგი ზესქნელი ქალწელისა მისგან წმიდისა ნაზარეთის. სადაცა-იგი მიღვთმად იქმნა. ნაზარეთის მიეცა მიღვთმად იგი, და ბეთლემს - შობაა, ვინაა-იგი იქმნა დასაბამ აღშენებათა. და სთარგმანების ბეთლემ - "სახლ ნაყოფიერების", სადა იქმნა შობაა უელისაა და სთისს დაღვა საფუძველი თქსი, რამეთუ ჯუარი იგი სთქემის საფუძველად ეკლესიათა. და რომელი იგიცა ჯუარს-ეცეა, იქმნა მქსნელ, დასაბამ ყოველითა მორწმუნეთა და დაღვა პირველ-საფუძველი სამალექსა მას ზედა ჯუარისასა" (14, 158-159).

ეპიფანიე კვიპრელი ძიწველს თვალს მიიჩნევს ზადილონის მოღვმის სახელდებულად: "აწ ვისილით ზადილონი, რომელ დაიწერა ზედა თვალსა მას ძიწველსა, ნაწილი მკვლრობისაა იესო ზადილოუნისა ნაზარეთით... რომელსა (ზადილონის - ნ.ს.) აქენდა სამღირე მრავალი ზღვსაგან. ნანღვლვე ყოველითა ცის კიდეთა ძღვენსი შეიწირვიან უელისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა, რომელ არს თავალი საკილერ პატიოსანი..." (14,159). ძიწველს თვალი ზოგჯერ მწვანეა, ზოგჯერ თქროსფერა, მას ბივრილსაც უწოლებენ. ეპიფანიე კვიპრელი აღნიშნავს, რომ თუ მკერნალსი მისგან ნალესს ასმევენ ავადმყოფს, მუკლის ტკივილს კურნავს.

ამრიგად, ძიწველს თელს ხსენებას და მისით ღვთისმშობლის შემკობას საკრალურობა ახლავს, იგი წმიდათა სიმართლეს მოასწავებს. ძიწველთი საგალობელში ღვთისმშობელთან დაკავშირებული წმიდა აღვილების სამბოლურ მანიშნებას ვხვდებით. იაკისთისა და ძიწველს სამკურნალო თვისებების წარმოსიენით იესო ქრისტესა და ღვთისმშობლის სახეებია მოწოდებული, ვითარცა სულიერი და ფიზიკური მკერნალისა.

საყურადღებთა ფერთამეგველები საგალობლის ამ თრ გაეკში, რადგან იაკისთისა და ძიწველს თვლები თქროსფერ-ცეცხლისფერია, ნათელია, ბრწყინვალეა, რაც, თავის მხრივ, ისევ ქრისტეს ღვთაებრიობასა და ღვთისმშობლის განსაკუთრებულობას, გამორჩეულობას მოასწავებს.

ოქროსფერ-იეცხლისფერობა ქრისტეს ორბუნებოვნების სიმბოლური გამოხატვაა.

იაკინთითა და ძოწეულით შემოსვა-შემკობა ღვთისმშობლისა ჰასრ და ასიუბის გენეალოგიასაც გულისხმობს, ე.ი. ქრისტოგოპულ ფუნქციონირებს იაკინთი იუდას ჩამომავალია თვალთა, იუდას ჩამომავალია იოსები, ხოლო ძოწეული ზაბილონის ჩამომავალია თვალთა, ზაბილონი იყო ნაზარეთის და ზღვის კიდეით მყოფი, ნაზარეთისა, სადაც გაბრიელ მთავარანგელოზმა ახარა მარიამს მისი გამორჩეულობა და მომავალი ღვთისმშობლობა. ამიტომ ეს ორი თვალი - იაკინთი და ძოწეული - სივრცული კატეგორიის მაგარებელიცაა, მათთან დაკავშირებულია ღვთისმშობლისათვის მომავალი ღვთისმშობლობის ხარების აღილი და ქრისტეს შობის აღილი, ხოლო რაღვან ასინი ღვთისმშობლის შესამკობი თვლებია, ხოლო ღვთისმშობელი მარადიული დედოფალია, ამიტომ ზედროული ფუნქციაც აკისრიათ, ვითარცა მარად ქალწულის სამკაულსა და სამოსელს.

ამრიგად, ფილიპეს საგალობლის პირველ-მეორე ტაქტში კონცენტრირებულია ქალწული ღვთისმშობლისაგან ძე ღმერთის, იესო ქრისტეს შობასთან დაკავშირებული ქრისტიანული მისტიკები. სიმბოლურად მესიის, მხსნელის, ძე ღმერთისა და ძე კაცისას შობის წინასწარმეტყველება იგულისხმება ქალწული დედის მიერ, რომელიც ფესვოქროვანს სამოსლითაა შემოსილი, ზეციური მადლითა და ნათლითაა მოხილი და რომელმაც სული წმიდაა დაეანებული, რომელიც იაკინთისა და ძოწეულის საკრალური თვლებითაა შემკული. ამგვარი სამოსელი ქალწულ ღვთისმშობელს სრულყოფილებას ანიჭებს, იგი განძარცვულია “ძველი კაცისაგან” და შემოსილია “ახალი კაცი”, მისი სამოსელი არის “სამოსელი პირველი”, “სამოსელი საქორწინე”.

პირველი-მეორე ტაქტის აზრი მომღვეწოებში უფრო სრულიყოფა. ჰიმნოგრაფი ღვთისმშობელს მიმართავს, ვითარცა ქალწულს, დედოფალს, დიდებულს, სანაგრელს, უბიწოს, ბუილემს, წმიდას, უხრწნელს, სახიერს, მოწყალეს მწყობელს, რომელსაც ბრწყინვალე ლამპრით ეგებებიან გალობის შემსხმელნი და ევეღრებიან ბრალთა მოგვეებას. საგალობლის სიტყვები - “ლამპრითა მით ბრწყინვალითა მიგვეებათ, დედოფალი” - ეხმიანება სახარებისეულ იგავს ათი ქალწულის შესახებ, რომლის უარული აზრი მარადმღვიძარებაა (მთ. 25, 1-13).

ჰიმნოგრაფიაში დამკვიდრებული ტრადიციით, რომელიც მხოლოდ ამ ეანრის კუთვნილება არ არის, ქალწულმა ღვთისმშობელმა აღხოცა ევას მიერ დანიერგილი პირველყოფა, მან იკისრა მძიმე გვირითი ცოლვათაგან განძარცვისა, განწმენისა, რისთვისაც უბიწოდ შვა მაცხოვარი, რომლის სამყოფელი ზეციური საუფლოა, ზესთანყოფელია, ღვთაებრივი ეაა, რის გამოც თავად ღვთისმშობელი ფილიპეს საგალობლის მიხედვით “ცათა მსგავს” არს, აგრეთვე “ეკლესიაა ბუილემისაა ცათა მსგავს” იქმნა.

ფილიპეს საგალობლებში ღვთისმშობლის ერთ-ერთი სიმბოლური სახელია “ბუილემი”. ჰიმნოგრაფი მიმართავს ღვთისმშობელს: “ბუნებათა შემოქმედი ვიყანი შენგან, ჰოა, ბუილემო”, რითაც “ემსგავსე შენ სამყაროთა ბუილესათა ჰოა წმიდაო”.

ანდრია კრიგელმა ღვთისმშობლის სხვა სახსმეტყველებით სახელებთან ერთად ღვთისმშობლის ბუილემად მოხსენიებაც განმარტა: “კურიხეულ ხარ შენ დედათა შორის, საყნაური ბუილემო, რომელი-ეგე იქმენ სახლ და საგებულ

და ბუნება შექმნაველები პერსია მის ცხოვრებასა, რამეთუ მან თავადმან, ვითარ-  
იგი თქვა, დაიმკვდრა შენ შორის, ვითარცა მან მხოლოდმან უწყის. და თინა  
შეუგავა ჩუენსა ამას ბუნებასა შეურევნელად. და ყოველი სავესება მხოლოდ  
თავისა მიერ თქისა აღაუვენა, რათა იოს იგი პერ ცხოველ ზეცისა" (22, 147).

ბეთლემი ცათა მსგავსია, რადგან ცა ღვთის სამყოფელია, ბეთლემიც ღვთის  
სამყოფელია. იგი განმარტება "სახლად ნაყოფიერებისა", სადაც იშვა იესო  
ქრისტე. ხოლო რაკი იესო ქრისტე მარიამ ღვთისმშობლის წიაღში  
განხორციელდა, განსხეულდა, ამიგომ საღვთისმეტყველო მწერლობაში  
ღვთისმშობელი სახსიმეტყველებითად ბეთლემად და ცად იწოდება. ეურემ  
მეირემ ღმერთის აღვილი ასე განმარტა: "აღვილ ღმრთისა თლესმე ცა  
ითქემს და თლესმე ეკლესიაა და თლესმე ქალწული, რამეთუ ამით ყოველთა  
მიერ ცხად არს, ვითარმედ არც ერისა აღვილსა მიერ გარემემცეულ არს იგი,  
არამედ ყოველსა მას მხოლოსა შეუცავს" (5,83). აქედან ცხადი ხდება, რომ  
ღვთის აღვილად მხოლოდ სიმბოლურად იუ დავსახელებით ზეცას, ეკლესიას,  
ქალწულს, რადგან ღმერთის დამტევი ვერანაირი აღვილი ვერ იქნება, რადგან  
ის თვითონ მოიცავს ყოველსეცს, მხოლოდ თვითონ ღმერთია ყოველსმომცევი.  
ეურემის ზემოსხეხებულ განმარტება იმას მოწმობს, რომ ქრისტეს განკაცების  
შემდეგ ცად იწოდება ღვთისმშობელი. ვითარცა ღვთის სამყოფელი.

საგალობელი მილიანად ღვთისმშობელს, მსგავსი მესიას, მხსნელს, მაცხოვრის  
შობის მსგავრისა ასახავს და ეძღვნება, რაც დასტურდება ყოველი გაეპის  
ბოლოს გამოყენებულ მიმართვით. ღვთისმშობლისადმი მიძღვნას  
აკრისტიქი მითითებს, იგი შემდეგი აზრის მომცეველია: ფილიპე საგალობელს  
უძღვნის ღვთისმშობელს, ასე სახსიმეტყველებითად - ბეთლემს. ამიგომ  
უმართებულად მიგვანსია საგალობლის ხელთენურად დაყოფა ნაწილებად,  
რაც მიღებულ და გაზიარებულ იქნა სამეცნიერო ლიტერატურაში (პ.  
სნგორიოეა, ა. ლოლაშვილი). ანდრია კრიგელისა და იოვანე ღამასკელის  
"საკითხავებიდან" მოხმობილი განმარტებებით ნათლად ჩანს, რომ ყველა ის  
სახელი, რომელიც მიმართვის ფორმითაა გამოყენებული საგალობელში,  
ღვთისმშობლის სიმბოლური სახელია.

ითანე ღამასკელისა და ანდრია კრიგელის საკითხავებში "შობისათვის  
ღმრთისმშობლისა" ღვთისმშობლის ყველა სიმბოლური სახელი ბიბლიური  
სახსიმეტყველების მინაყემთა გათვალისწინებითაა ახსნილი. ითანე ღამასკელი  
წერს: "ნერგი შენი დაუქნობელ და მაყუალი ეგე ცათა მიმსგავსებულ  
ღმრთისმშობელთა შენითა" (22, 108); "გიხაროდენ, ცაო გარემემცელო  
სოულსა სერცისათ და პაგოსანთ საფარველო კაცთა ნათესავსათ, რომელთ-  
ეგე მდიდარ ხარ ღამპრებითა სათნოებათათა, ვითარცა სიმრავლითა  
ვარსკელავთათა, რომლისა მიერ აღმოხდა მზე სიმართლისა და ქმნა  
ცხოვრება კაცთა შორის დღისა დაუღამებელისა" (22, 110). ცა უელის საყდარია,  
ცა აღმოაბრწყინებს მზეს სიმართლისას, ცათა მსგავსია ქალწული  
ღვთისმშობელი, რომლის წინამე ყველაფერი უყვრულდება, რადგან იგი  
კაცობრიობის სულთერი მხსნელის მშობელია. ანდრია კრიგელი  
ღვთისმშობლის ცისადმი მიმსგავსებულობას შემდეგნაირად ხსნის: "ამას ზედა  
სხარებდ, ცაო, რამეთუ შენმან მიმსგავსებულმან შენ შორის დაუტეველი  
შეუიწრებლად დაიგია. ამას ზედა გაღობდ, ქეყანათ, რომელმან მუელად-  
ღებითა თქითა მიგამსგავსა შენ სიმადლესა ცათასა, რაემს ზეცისა ყენა  
ქეყანანი" (22, 155).

საღვთისმეტყველო ლიტერატურის მხედვით, ღმერთის აღგია დაჯსაზღვრელია, მისი დამტევი არც ეაა, არც საყლარო, არც ქალწული ღვთისმშობელი. რაღვან ადამიანის გონება დასაზღვრულია. იგი ყოველთვის მოიაზრებს საზღვარდალებით, ამიგომ მიიხნევს იგი ღმერთის ქამტყულოდ სამყოფლოდ ბეეას, რომელიც, ადამიანის გონების დასაზღვრულოთღაზე გამომდისარე, სახსმეტყველებით ღვთისმშობლად წარმოსახა. სწორედ ამგ გამო ფილიპეს საგალობელში ეა-ღვთისმშობელი-ბეთლები ერთიან სემანტიკურ-აზრობრივ ველს ქმნიან და უაღრესად მნიშვნელოვან ქრონოგოპად გვევლისებიან. უხილავი, პირველქმნილი, ღვთაებრივი ეა ქრონოგოპულად ერთაღვრითა და იგი ღმერთის სამკვიდრებელია, სივრცული თვალსაზრისით იგი შემოუსაზღვრელია, მას არც დასაბამი აქვს და არც დასასრული, იგი მუღმევეყოფია, მარაღიულია. ასევე ერთაღვრითა ბეთლები ღრისივრცული წარმოსახვით, ბეთლებში განხორციელდა შობის, მაიხოვრის მოვლისების მისგერია. ასევე ერთაღვრითა ღვთისმშობელი, რაღვან არავის ყოყილა ქალწულია შორის ღედა და ღედათა შორის ქალწული. ამიგომ, პიმწოგრაფის სიგყით, თაყვანისყემას იმსახურებს "ღილებული ქეაბი", ბეთლები ამრიგად, ფილიპეს საგალობელი ევანგელურ მოტივებს ასახავს, რაე მომღევენი ტაეპებშიც დასგურლება:

*"თაყვანის-ვისეთი ქაბსა მაგას რიებერსა, პოე უხინჯო, ლოცვაე ჩენი შუნიჩე, ბაგასა მას მწოღიქო".*

სასულიერო მწერლობის ტრადიციისამებრ, პიმწოგრაფი იეავს ლიტერატურულ ეტიკეს, თაემღაბლობას ამელავენებს და საკეთარ თაეს უღანსსა და ეოდვილს უწოდებს.

*"მადრი შენი მთაჰვერ მეყავნ მე, უოიხსა, მონყაქო, ისმინე რღეს თხოვაე ჩემი, ცოვიღისა. მწყალობერო".*

ფილიპეს საგალობელი ნათლად მეტყველებს აეგონის ღრმა ემოციურობასა და სულიერ მომხიბვლელობაზე. იგი ბეაწვეული სინჯიყით, მსინაგანი სიღაღით ღვთისმშობელითან დააღოგში აღწევს ამაღლებულობას, რაე მას სულს, ამის კეალობაზე, საგალობლის აღმქმელის სულს წარმართაეს ლოცვის განწყობილებისა და სიმშეიღისაეკნ, რაე განწმენლისა და განღმროობის საყეპეელია.

ფილიპე ბეთლების საგალობლის პოეტიკის შესწავლა საინგერესო და მნიშვნელოვან დასკვნებს იღლევა ქართული ლექსის განვითარების სრულყოფილად გასააზრებლად.

საგალობელი თექესმეგმარეელიანი მაღალი შაირითაა შესრულებული. იგივე საბოში გეხვლება ამავე ეპოქის ერთ-ერთი უღიღესი მოღვაწის, ცნობილი პიმწოგრაფის ითანე-ზოსიმეს სახელით ცნობილ თბზულებამი "ანღერძი იაღვარისაე", თემეცა ისიე შენიშნულია, რომ მოელი საგალობელი ამ საბოშით არ არის დაწერილი.

ძველი ბერძნული და ქართული ლექსიწყობის საკითხების კელევისას პ. ბერაძემ ყერაღლება მიაქეია ითანე-ზოსიმესა და ფილიპეს საგალობლებს, როგორე თექესმეგმარეელიანი შაირის მხედვით შექმნილ თბზულებებს და აღნიშნა: "გრძელშაირის ლექსი -საგმარო პოეზიის ყველაზე გავრცელებული ფორმა - ეკლესიის მოღვაწეთაგან ამკარად იგნორირებული აღმოხნდა. უერო მეტი გავლენა მოეხღესიოა შაირის ლექსს, რომელიე შუაზე გაყოფილი ფორმით გამოყენებული აქვს ჯერ კიღეე ითანე-ზოსიმეს, ხილო შემღეე იგივე საბოში

გვხვდება აკროსტიხში “ფილიპე ბეთლემი“, მაგრამ იქ უკვე მოღაწი, განუყოფელი სახით. ასეთი იშვიათობა გრძელშაირის ლექსის გამოყენებას სწორედ მის ძალას, მის დიდ გავრცელებულობას მოწმობს საერო, ხოფხურდი და წარმართული ხასიათის თქმულებებში“ (1,125).

შაირის საზომი ჰიმნოგრაფიაში არ დამკვიდრებულა. მხოლოდ ეს თრი იშვიათი შემთხვევა დასტურდება. ა. გაწერულიამ ფილიპეს საგალობელი შაირის მოუწესრიგებელ ნიმუშად მიიჩნია, მისი სიტყვით: “სარითმო კლაუზულა მოუწესრიგებელია. მიუხედავად ამისა, იგი მაინც წარმოადგენს ცდას გაეპში მეგრის შეცნებელი შენარჩუნებისა. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ზოგიერთი გაეპის სტრუქტურული სიზუსტე (მოაფარი ცეზურა 8 მარცვლის შემდეგ)” (3,232).

ფილიპეს საგალობლის ვერსიოეკაციული თვალსაზრისით განხილვამ აპ. სილაგადე მნიშვნელოვან დასკვნამდე მიიყვანა. მისი აზრით, ქართული ლექსოწყობის სისტემა უკვე რეალიზებული იყო ფილიპეს საგალობლის შემწამდე, შესაბამისად - არსებობდა მისი მაგარებელი პოეზია, თლინდ ამგვარი ლექსოწყობის სამოქმედო ველში ჰიმნოგრაფია არ შედიოდა, ე.ა. ჰიმნოგრაფიის სამოქმედო ველში არ იყო მოქცეული ლექსოწყობის ის სისტემა, რომელსაც თავისი მეგრული ნორმები და პოეტიკა ჰქონდა. ფილიპეს აკროსტიქი იმას გვსჩვენებს, რომ “მის ავტორს სხვა, არსებული, სუეროდან გაღმობაქს მისი ელემენტის თავის საარსებო სუეროში: მაშასადამე, ფილიპეს ტექსტი წარმოადგენს, ერთი მხრივ, გადახრას მოცემული “ქანოსი” პოეტიკის ნორმებიდან (ან - ერთი ნორმიდან), მეორე მხრივ, რაც სუენიუსს ამ შემთხვევაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ანარეკლს სხვა პოეტური ნორმის რეალური არსებობისა... “სხვა პოეზიის” არსებობისა“ (13, 105). ჰიმნოგრაფიამ მხოლოდ იშვიათი შემთხვევებში შემთინახა მეგრული ვითარების ფრაგმენტები. “მოელ ვითარებას კარგად გამოხატავს სწორედ ის გარემოება, რომ საეკლესიო ავტორები ზუსტად მისლევს საეკლესიო პოეზიის ფორმის კანონს, მაგრამ სპეციეკურ შემთხვევებში ასახავენ არასახულიერო პოეზიის მეგრიკისათვის დამახასიათებელ სურათს. ძალზე ნიშანდობლივია ასევე, რომ, მეორე მხრივ, ამ მეგრიკის კვადი სახულიერო პოეზიის პრაქტიკაშიც გამოინლება ხოლმე: იმავე ფილიპეს (X ს.) ძაღალი შაირის სტრიქონებზე აგებული ლექსი“ (13,117).

ჰიმნოგრაფიაში შაირის იშვიათი გამოყენება იმით იყო განპირობებული, რომ მას ღვთისმეტყველი წმიდა მამები საერო საზომებად თვლიდნენ. მაგალითად, ეურემ მცირეს, როგორც ა. ურუშაძემ მიუთითა, “სამკარულიანი ჰექსამეტრული სტრიქონებიც (ჰექსამეტრი - პენტამეტრი - ჰექსამეტრი) ხუთკარულიანი იამბიკისად უთარგმნია. როგორც ჩანს, საღვთისმეტყველო ბერძნულ ტექსტებს ეურემი თცმარველიანი ფსტიკაურით ან 16 მარცვლიანი შაირით არ თარგმნია, ვინაიდან მათი საერო საზომებად თვლიდა“ (16, 62).

ყოველივე ზემოთქმული იმას მიუთითებს, რომ თექვსმეტმარველიანი შაირის საზომით საგალობლის შესრულება იშვიათი შემთხვევაა და მისი საფუძველი საერო პოეზიაა, რომლის ლექსოწყობის სისტემა განსხვავდება ჰიმნოგრაფიული პოეზიის ფორმისაგან. ფილიპეს საგალობელი ის იშვიათობაა, როლესაც ჰიმნოგრაფიაში საერო პოეზიის საზომი გამოიყენება. ამიგომ ფილიპეს საგალობელი, ითანე-ზოსამეს სახელით ცნობილ თხზულებასთან ერთად, განსაკუთრებულ განხილვას საჭიროებს პოეტიკური თვალსაზრისით.

სამეცნიერო ლიტერატურაში დაღვნილია, რომ პოეტური ნაწარმოები აგებულია მეგრულ და რიგმულ ერთეულთა კანონზომიერ პროპორციულ

მამართებებზე და მის მოწესრიგებაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სამეგრია, რომელიც არც პროზაული მეტყველებისათვისა და უცხო და მოულოდნელი. ამიტომ საგალობლის სტრუქტურის კვლევისას თანამედროვე ეტაპზე ყურადღება უნდა მიექცეს სამეგრეოლი მამართებების განსაკუთრებასა და დადგენას.

ფილიპეს საგალობელზე დაკვირვება აჩვენებს, რომ მისი თითოეული გაეპი დიდი ცეზური სამეგრეულად თრიალ იყოფა, ხოლო ნახევარგაეპები თრი თიხმარცვლიანი მუხლისაგან შედგება და პაგარა ცეზური გამოიყოფა. მიუღ საგალობელში მარცვლები სწორედ ამ პრინციპითაა განაწილებული. “ვეუხისგყაოსანზე” დაკვირვებამ მეცნიერები იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ მაღალ შაინში სიგყვათიგასაყარი ყოველი თიხი მარცვლის შემდეგაა და მუხლის საზღვარი ყოველთვის ემთხვევა სიგყვისას. თუ მუხლში ერთი, თრ და სამმარცვლიანი სიგყვებია, ცხადია, სიგყვის საზღვარი მუხლისას ყოველთვის არ დაემთხვევა, რადგან ხშირად მუხლის შესაღგენად რამდენიმე სიგყვაა საჭირო და აუცილებელი. ასევეა ფილიპეს საგალობელში, სადაც მუხლებს ქმნის ან თიხმარცვლიანი სიგყვა, ან ერთი, თრ და სამმარცვლიანი სიგყვათა ერთობლიობა. ცალკე აღებული ერთი, თრ და სამმარცვლიანი სიგყვა დამოუკიდებელ რიგმულ ერთეულს ვერ ქმნის. ერთი, თრ და სამმარცვლიანი სიგყვები ქმნიან თიხმარცვლიანი მუხლის ფარგლებში რიგმულ-მელოდიურ ვარიაციებს, რასაც საგალობლის სტრუქტურა ემყარება. ეს ვარიაციები გავლენას ახდენენ რიგმზე, მაგრამ საგალობლის სტრუქტურას არ განსაზღვრავენ. საგალობელში რამდენიმე მუხლი მხოლოდ თიხმარცვლიანი სიგყვისაგან შედგება, ასეთ შემთხვევაში ნახევარგაეპში თრი თიხმარცვლიანი სიგყვა იყრის თავს. მაგ. “თაკისთუ ძოწეული”...“ მიგეგებთი, ლელოუდლი”, “ეკლესიაა ბეოლემისაა”, “ბუნებათა შემოქმელი”, “წყალობისაა, სახიერი”, “ციოღვისაა, მწყალობელი”.

სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ “ვეუხისგყაოსანში” მაღალ შაინში დიდი რაოდენობითაა თიხმარცვლიანი სიგყვები (გ. წერეთელი, 11,25). საკმაოა ასეთი შემთხვევა, როლესაც გაეპის თიხზე მუხლი თიხმარცვლიანი სიგყვებისაგან შედგება. მაგ., “თილიან, გაყილიან, მოიგებენ, წააგებენ” (1063,2); “გაგიცხადა დამალული ვინებამან დაფარულმან” (1290,4). აქვე იმასაც შენიშნავთ, რომ ფილიპეს საგალობელში თიხზე მეტმარცვლიანი სიგყვა არ გვხვდება.

ფილიპეს საგალობელში იშვიათად, მაგრამ მაინც აქმნება სიგყვებსა და მუხლებში აღიტერაცია თანხმობითა პარმონიული შეხამებით. მაგ. პირველი გაეპის მეორე ნახევარი აღიტერაციულია: “შემკელი ხარ შენ, ქალწული”, თრივე მუხლი “შე” მარცვლით იწყება.

საგალობელს აქვს ემბრიონალური რითმა, რაც მის პირველსავე გამოცემაშია აღნიშნული. გართიმულია წილებითი ბრუნვის ნიშანი, გართიმულია სხვადასხვა მონოლოგიური კატეგორიები, კერძოდ არსებითი სახელიც, გელსართავიც, ნამმართიც.

ფილიპეს საგალობელში შენიშნევა მსინაგანი რითმის ჩანასახები, თუმცა იგი მუხლებრივი არ არის, იგი არც კანონზომიერია თხზულებისათვის. მართალია, მსინაგანი რითმა კლასიკური ფორმით არ დასტურდება, როგორც ეს გვაქვს XII საუკუნის მუხობებეთან (მაგ. ჩახრუხადე: “თამარ წყნარი, შესაწყნარი”...), მაგრამ თღნავ მაინც შენიშნება რითმის ცალკეული

ელემენტებისაგან შედგენილი ერთგვარი მელიზმების მსგავსი თავისუფალი ორნამენტული ფიგურები, რომლებიც განსაკუთრებულ ექსპრესიულობას და დინამიკობას ანიჭებენ საგალობელს. მაგ. “ლამპროთა მით ბრწყინვალეთა“, “ეკლესიაა ბეთლემისაა“.

ამრიგად, ფილიპეს საგალობელი პირველი ჰიმნოგრაფიული ნაწარმოებია, შექმნილი თექვსმეტმარცვლიანი მაღალი შაირით, რის გამოც მას განსაკუთრებული ღირებულება აქვს ქართული ლექსთმცოდნეობის ისტორიის სრულყოფილად გასათვალისწინებლად და შესასწავლად. იგი ქართული ლექსწყობის სისტემის სრულფასოვანი რეალიზების საუკეთესო ნიმუშია, რომელიც თქმაგური, შინაარსობრივი, მსოფლმხედველობრივი, სიმბოლური თვალსაზრისით მოღიანად მისდევს საგალობლის ნორმებს, ხოლო ვერსიუიკაციული თვალსაზრისით, ჩანს, უძველესი ქართული ლექსის ტრადიციებს აგრძელებს.

შობის დღესასწაულისა და ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი ფილიპეს საგალობელი ჰიმნოგრაფიისათვის დამახასიათებელი ამბლებული სტილით, ხალხისმეგობრული აზროვნებითა და ღრმა სახსმეგობრული გამოჩნეული ნაწარმოებია, რომელშიც ასახულია შობის მისტერია და სიღაღე, ხაგოვნად და სიმბოლურად წარმოსახულია ღვთისმშობლის სახე. წინ წამოწეულია ავტორის განწყობილება: თაყუანისცემა ყოველთე იმისადმი, რაც შობას უკავშირდება, და ვედრება ღვთისმშობლის წინაშე, რომ თავისი მაღლით დიოფაროს, ცოდვილი სულს თხოვნა შესძინოს, მოწეაღე ექმნას მის წეალობათა მიძიებელით, მავედრებელით ლოცვა შეიწიროს, პირველქმნილი სიკეთე აძივნინოს, ჰიმნოგრაფია სიგეკით, “ელემის უკემოლებსათვის“ მიადწევისის, საგალობელი ავტორის ლირიკული აღსარებაა, შინაგან, სულიერ განცდათა სიგეკვიერი გამოხატელებაა, ღვთისმშობელითან დიადლოგია, რომელშიც მოელი სისრულით გამოვლინდა ფილიპეს თეოლოგიური განათლების სიღრმე, მხატვრული აზროვნება და პოეტური კელტურა.

## დაძოწეიებული ლიტერატურა

1. პ. ბერაძე, ძველი ბერძნული და ქართული ლექსთწყობის საკითხები, თბ., 1969.
2. В.Бычков. Византийская эстетика. М., 1977
3. ა. გაწერულია, რხეული ნაწერები, III-1 თბ., 1981.
4. თ. გრძელიძე, სიმბოლიკის საკითხები ქართულ ჰაგოიგრაფიულ მწერლობაში, ლიტერატურული ძიებანი, II (XVII), თბ., 1987.
5. ეურემ მცირე, თარგმანებაა ფხალმენიაა, მ. შინაძის გამოც., ძველი ქართული ენის კითხვრის შრომები, II, თბ., 1969.
6. პეტრე იბერიელი (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი), შრომები, გექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ს. ერეკლავილიძე, თბ., 1960.
7. პ. სნგორიოევა, გაორგი მერხილე, თბ., 1954.
8. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1960.
9. Н.Я.Март. Вступительные и заключительные строфы Витязя в барсовоii коже Шоты из Рустава. ТР. XII, П., 1910.

10. Н.Я.Март. Описание рукописей синайского Монастыря. М-Л., 1940.
11. მეგრი და რითმა ვეუხისგყაოსანში, გამოსაცემად მოამზადეს გ. წერეთელმა, გ. კარგოზიამ, ც. კიკვიძემ, ს. ცაიშვილმა; გ. წერეთლის რედაქციითა და გამოკვლევით, თბ., 1973.
12. ნეემირებული ძლისპირნი, გამოსცა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთა ც. კიკვიძემ, თბ., 1982.
- 13 ა. ხილაგაძე, ძველი ქართული ლექსი და ქართული პოეზიის უძველესი საფეხურის პრობლემა, თბ., 1997.
14. შაგბერდის კრებული, გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ელ. გუენაშვილმა, თბ., 1979.
15. შოთა რუსთაველი, ვეუხისგყაოსანი, "ვეუხისგყაოსნის" აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის გამოც., თბ., 1988.
16. ა. ურუშაძე, ბერძნულ-რომაული და ქართული მეგრიკის საკითხები, თბ., 1980.
17. უძველესი იაღგარი, გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს ელ. მეგრეველმა, ც. ჭანკიევმა და ლ. ხევსურიანმა, თბ., 1980.
18. უძველესი რედაქციები ბასილი კესარიელის "ექესთა ღვთაათეს" და გრიგოლ ნოსელის თარგმანებისა "კაცისა აგებულებისათეს", X-XIII სს-ის ხელნაწერთა მიხედვით გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ილია აბულაძემ, თბ., 1964.
19. უსალმუნთა განმარტებანი, II, უძველესი ხელნაწერების მიხედვით გამოსაცემად მოამზადა ნინო ლობორჯინიძემ, თბ., 1996.
20. ქართული პოეზია, I, ს. ცაიშვილის რედაქციითა და წინასიტყვაობით, თბ., 1979.
21. ს. ყაუხჩიშვილი, ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია, თბ., 1973.
22. ძველი მეტაფრასული კრებულები, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, კომენტარები და საძიებლები დაურთო ნარგიზა გოგუაძემ, თბ., 1986.
23. ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, მენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ივანე ლოლაშვილმა, თბ., 1978.

## NESTAN SULAVA

### PHILIPPE BETHLEMI

The hymn written in 13 line shairi by the X-th century Georgian humnographer Philippe Bethlemi is dedicated to feast of Our Lady and the Christmass. Our Lady is represented by various christian theological symbols. She is crowned with jasper and garnet, which acquires the xonotopic artistic loading. They indicate as well to genealogy of the Virgin (Our Lady) and Joseph, so as jasper is the gem of the progeny of Judas, and garnet - that of Zabilon. Garmenting of Our Lady with the goldlace garment alludes to a special symphaty towards her by God. According to the hymn, Our Lady is called Bethlem and equal to the skies, which find their explanation in theological works. The hymn is the monologue of the author, the lyrical confession, verbal expression of the spiritual feelings, in which the depth of theological education, artistic skill and poetic culture of Philippe are completely revealed.